



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.
www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 37
22/08/2017

37-03-4-201708221226



განკარგულება №37
21 აგვისტო 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო
მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის);

ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

გ) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება (საქართველოს საარჩევნო კოდექსი-ს 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების,


სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

დ) დაევალოს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია, გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა